სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 აპრილი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/33

ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის 36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'', ,,ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 იანვრის №01-02/01 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №01-02/24 ბრძანებით და ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 მარტის №01-02/49 ბრძანებით), „2025-2026 წლებში განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 24 მარტის N01-02/51 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 28.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0000367683, 02.04.2025), მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 25 0000350722, 28.03.2025), ინჟინერიის, ტექნოლოგიების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000363968, 01.04.2025), აგრარული მეცნიერებების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 25 0000363936, 01.04.2025), ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 28.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000348695, 28.03.2025), ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 25 0000364904, 02.04.2025), სოციალური მეცნიერებების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0000363911, 01.04.2025), მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის

თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000351655, 28.03.2025), ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 27.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 25 0000351994, 28.03.2025), ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№2, 28.03.2025) და კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 25 0000373199, 03.04.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 იანვრის №01-02/01 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი და ბსუ-ში **2025 წლის 11 აპრილიდან 2026 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1. <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ა) **„LPL გენის (HindIII, Ser447Ter) გენოტიპების ასოციაცია კარდიოვასკულარულ დაავადებებთან“,** ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს საბუნებისმტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი **რუსუდან ხუხუნაიშვილი,** ბიუჯეტი - 20.000 ლარი **(დანართი N1);**

1.2. <u>მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ბ) **„მართვის თეორიის საკითხები არალოკალური საკონტაქტო სასაზღვრო ამოცანებისთვის და ამოხსნის რიცხვითი მეთოდები“,** ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ვახტანგ ბერიძე,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N2);**

გ) **„ლაზერით ინდუცირებული პლაზმის (LIP) კვლევა მაღალი გარჩევადობის სპექტროსკოპიული ანალიზის საფუძველზე: მეთოდოლოგია, აპარატურული ინტეგრაცია და გამოყენება“**, ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი **ჯაბა შაინიძე**, ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N3);**

1.3. <u>ინჟინერიის, ტექნოლოგიების მიმართულებით:</u>

დ) **„ელექტროლიზური ტექნოლოგიების გამოყენებით მცენარეული სამრეწველო ნარჩენებიდან პექტინების ექსტრაქციისა და გამოლექვის პროცესების კვლევა/ოპტიმიზაცია“,** ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ავთანდილ ცინცქილაძე,** ბიუჯეტი - 19 890 ლარი **(დანართი N4);**

1.4. <u>აგრარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ე) **„დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გავრცელებული ხურმის ძირითადი დაავადებების შესწავლა დღევანდელი კლიმატური ცვლილებების ფონზე“,** ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ნანა ჯაბნიძე,** ბიუჯეტი - 19 400 ლარი **(დანართი N5);**

ვ) **„მოცხარის ველურ სახეობებსა და ჯიშებზე გავრცელებული დაავადებების გამოვლენა აჭარაში"**, ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ქეთევან მემარნე,** ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N6).**

1.5. <u>ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:</u>

ზ) **„თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები მაღალმთიან რეგიონებში, მათი დაძლევის გზები (აჭარის ა/რ-ის მაგალითზე"**, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **მურმან ცეცხლაძე,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი 7)**;

თ) **„უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი აჭარის ა/რ-ის მაგალითზე"**, ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **თამარ ფოლადაშვილი,** ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N8);**

1.6. <u>ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ი) **„შეპირისპირებითი ლინგვისტური კულტუროლოგია (ქართული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ბაზაზე)"**, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ირინე გოშხეთელიანი,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N9**);

1.7. <u>სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:</u>

კ) **„სწრაფი მართლმსაჯულების პრობლემატიკა აჭარის რეგიონის მაგალითზე"**, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ომარ ფარტენაძე,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N10);**

1.8. <u>მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ლ) **„ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება: კალციტონინის კვლევის ინტეგრაციის პერსპექტივა TI-RADS სისტემაში"**, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **თამარ პეშკოვა,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N11);**

მ) **„წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა ბათუმის სტომატოლოგიური სერვისების მომწოდებელი დაწესებულებების სტომატოლოგიურ დანადგარებში"**, ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **ფრიდონ ჯაფარიძე**, ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N12);**

1.9. <u>ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით:</u>

ნ) **„კრიზისების მიმართ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის გამძლეობის ანალიზი"**, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორი **პაატა ჩაგანავა,** ბიუჯეტი - 19 920 ლარი **(დანართი N13).**

1.10. <u>ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით:</u>

პ) **„სამხრეთ კოლხეთში - აჭარაში ველურად მოზარდი შეუსწავლელი და ნაკლებად**

შესწავლილი საკვები მცენარეების ბოტანიკური და ფარმაკოგნოსტური შესწავლა“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ეთერ ჯაყელი,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N14).**

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' და ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული პროექტების განხორციელების მიზნით, ბსუ-ს ბიუჯეტისა და გამარჯვებული პროექტების შინაარსის (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

3. გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს/მენეჯერებს დაევალოთ **დადგენილების გამოცემიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა (10 აპრილის ჩათვლით) წარუდგინონ** ბსუ-ს რექტორს პროექტის პერსონალის (თითოეულის ცალ-ცალკე) სამუშაო აღწერილობები, გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის მითითებით, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე;

5. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს და განმახორციელებელი პერსონალს/ფაკულტეტებს).

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**